2414

ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური ორგანო საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 21 მარტი 1940 წ. № 67 (5768) ფასი 10 კაპ.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა, იყო იმის ნათელი დემონსტრაცია, თუ როგორ განუხრელად ახორციელებენ საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის **ამხანაგ ლ. პ. ბერიას** მიერ, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საყვარელი ბელადის ბრძნულ მითითებებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საანგარიშო პერიოდში განუხრელად ვითარდებოდა აგრეთვე საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო პროდუქტთა სიუხვე, კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი შეძლებულობის ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობენ.

საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელმა **ამხ. კ. ჩარკვიანმა** თავის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე მოგვცა მოპოვებულ წარმატებათა ღრმა ანალიზი და დაგვისახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა.

თავის მოხსენებაში **ამხ. კ. ჩარკვიანმა** განაცხადა: „საქართველოს სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის მიხედვით სსრ კავშირში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჩაი, ციტრუსები, მაღალხარისხოვანი თამბაქო, მაღალხარისხოვანი ღვინოები, როგორც ცნობილია, ძირითადად მხოლოდ ჩვენში მოდის. აღნიშნულ პროდუქტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ეს გვავალებს წლითიწლობით განვავითაროთ და წინ წავწიოთ საქართველოს სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ისეთი კულტურების შემდგომ გაფართოებას, როგორიცაა: ჩაი, ციტრუსები, ვენახი, ყოველნაირად განვავითაროთ აგრეთვე მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა და სხვა დარგები".

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილება მოწმობს, თუ რა გიგანტურ შესაძლებლობებს შეიცავს ორდენოსანი საქართველოს საკოლმეურნეო წყობილება. საქართველოში ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური, მარცვლეული კულტურების შემდგომი განვითარება, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ზრდა — ეს ნიშნავს დიდი ნაბიჯის გადადგმას ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერებისა, სიმდიდრისა და სიუხვისაკენ.

თვითეული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ბოლშევიკური მგზნებარებით იმუშაონ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ციტრუსების, ჩაის, ვენახისა და სხვ. კულტურათა ფართობის ზრდასთან ერთად დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ ყველა კულტურის ხვითა მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის. მესამე სტალინური ხუთწლედის დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის აი რატომ არის საჭირო, რომ წელს მივაღწიოთ უფრო მაღალ სტალინურ მოსავალს, ვიდრე 1939 წელს.

ორდენოსანი საქართველო ამაყობს ჩაის ? უონლობაში მოპოვებული წარმატებებით. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა მან წარმატებით შეასრულოს საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა — ძირითადად უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩაის მხრივ. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოში კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს ჩაის მეურნეობა, ჩაის პლანტაციების ფართობი უახლოეს 5 წლის განმავლობაში აყვანილ იქნება 60.000 ჰექტარამდე.

ეს გვავალებს პლანტაციების გაფართოებასთან ერთად გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩაის ბუჩქების მოვლა, ყველა კოლმეურნეობაში, საკოლმეურნეო ბრიგადასა და რგოლში მტკიცედ დავნერგოთ ჩაის ბუჩქისადმი ინდივიდუალური მიდგომა. თუ ჩაის პლანტაციების მოვლა, დამუშავება და ჩაის ფოთლის კრეფა სწორად იქნება ორგანიზებული, სავსებით შესაძლებელია 1940 წელს ჰექტარიდან საშუალოდ არანაკლებ 2.5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღება. წელს საქართველოში სულ უნდა დამზადდეს 56.114 ტონა ჩაის ფოთოლი. აქედან 51.114 ტონა ძირითადი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 70 პროცენტი უნდა იყოს პირველი ხარისხის. ეს დავალება სავსებით რეალურია. საჭიროა მხოლოდ ჩაის რაიონების ჰარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ამთავითვე გაშალონ მუშაობა ჩაის ფოთლის კრეფის უდანაკარგოდ ჩატარებისათვის, ამავე დროს კარგად ჩავატაროთ სავაზაფხულო სამუშაოები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ზოგიერთი რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პლანტაციების გადაბარება და ფოსფორიანი სასუქის შეტანა. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 1.470 ჰექტარიდან, პლანტაციების გადაბარება ჩატარებულია მხოლოდ 720 ჰექტარზე. ჩაის ბუჩქის გასხვლა კი 3.320 ჰექტარიდან —1.015 ჰექტარზე. ზუგდიდის რაიონი გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

დიდი წარმატებანია მოპოვებული ციტრუსოვანი კულტურების განვითარების დარგში. საქართველოს ბოლშევიკებმა გადამეტებით ასრულებენ საქართველოს ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ითვალისწინებენ 1944 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა ნარგავები აიყვანონ 40.000 ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენში ციტრუსოვანთა პლანტაციები ერთი-ორად და კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსოვანთა მეურნეობის ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეს. აგრეთვე ლიმონისა და ფორთოხლის კულტურების გაბედულად დანერგვას.

ციტრუსების ფართობის გადიდებასთან ერთად სავსებით შესაძლებელია მისი მოსავლიანობის გადიდება. დასავლეთ საქართველოს ნაირგვარი და კლიმატური პირობები, სანერგე მეურნეობა, საუკეთესო კადრები — ყოველივე ეს იძლევა ამ კულტურის კიდევ უფრო ფართოდ განვითარების პერსპექტივებს. საჭიროა მხოლოდ წესიერად მოვუართ ნარგავებს, დავიცვათ მავნებლებისა და ყინვებისაგან. სულ მალე დაიწყება ციტრუსოვანთა გაშენება. საჭიროა სწორად მოაწყონ ადგილებზე ნერგების გადაზიდვა და ოპტიმალურ ვადებში ჩაატარონ დარგვა.

1942 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი საქართველოში უნდა აყვანილ იქნას 60.000 ჰექტარამდე. საამისოდ საჭიროა კიდევ უფრო უკეთ დავაყენოთ სანერგე მეურნეობა. ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ვაზის მყნობა. მაგრამ ზოგან სამყნობი მასალის

დამთავრდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის VIII საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია

19 მარტს მუშაობა დაამთავრა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის VIII საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებულმა კონფერენციამ. კონფერენციამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ამხ. შჩერბაკოვის საბოლოო სიტყვის შესახებ. შჩერბაკოვის სიტყვა მოისმინა ოვაციით აღტაცებულმა კონფერენციამ.

ფარული კენჭისყრის შედეგის გამოცხადების შემდეგ ამხ. შჩერბაკოვმა, კონფერენციის დამთავრებისას, მოუწოდა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ბოლშევიკებს კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის.

— კონფერენციამ, — სთქვა ამხ. შჩერბაკოვმა, — შეაჯამა განვლილი გზის შედეგები, გამოამჟღავნა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახა მორიგი ამოცანები. ჩვენ მთელი ბოლშევიკური ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად!

გაუმარჯოს მოსკოვის ბოლშევიკებს — ლენინურ-სტალინური პარტიის მოწინავე რაზმს!

გამარჯვება და დიდი, დიდი ხნის სიცოცხლე ჩვენს მშობლიურ და საყვარელ **სტალინს!**

ამხ. შჩერბაკოვის **საბოლოო** სიტყვებმა მჭუხარე ოვაცია გამოიწვია. ყველა დელეგატი ერთსულოვნად, ფეხზე მდგომი მიესალმება ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს.** ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!** ვაშა". „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!", „გაუმარჯოს ჩვენი ბრძენი მთავრობის მეთაურს — ამხანაგ **მოლოტოვს!**", „ვაშა უძლეველი წითელი არმიის ბელადს ამხანაგ **ვოროშილოვს!**".

ეს იყო საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მოსკოველი ბოლშევიკების დარაზმულობის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მათი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია.

დელეგატები დიდი აღფრთოვანებით მღერიან „ინტერნაციონალს". მოსკოვის VIII საოლქო და VII საქალაქო გაერთიანებულმა კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი

19 მარტს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია **ამხ. ა. ხ. შჩერბაკოვი,** მეორე მდივნად—**ამხ. ბ. ნ. ჩერნოუსოვი,** მესამე მდივნად—**ამხ. ა. ი. მაქსიმოვი,** მდივნად კადრების დარგში—**ამხ. ს. ი. იჰჯოლევი** და მდივნად პროპაგანდის დარგში— **კ. ფ. კალაშნიკოვი** (საკდესი).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

19 მარტს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია **ამხ. ა. ხ. შჩერბაკოვი,** მეორე მდივნად—**ამხ. გ. მ. პოპოვი,** მესამე მდივნად—**ამხ. ვ. ე. მაკაროვი,** მდივნად კადრების დარგში—**ამხ. ვ. კ. პავლიუკოვი** და მდივნად პროპაგანდის დარგში—**ამხ. ი. ა. გრაკინი.**

(საკდესი).

კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესა საბჭოს პრეზიდიუმმა სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებისა და განსაკუთრებით მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის 215 მოწინავე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია საკ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანი **უ. მ. ბარაბანოვი,** ოტრადნაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის სასაქონლო ფერმის გამგე **მ. ი. ვოლოშინი,** შტენჰარდტის მტს-ის კომბაინერი **კ. ი. ვორონაია,** კანევსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ამხ. სტალინის ექვსი პირობა"-ს მეხბორე **მ. ნ. დემჩენკო,** სტაროშჩერბინოვსკაიას მტს-ის კომბაინერი **ნ. მ. ზადოროჟნი,** ნოვო-ლევაშკოვსკაიას რაიონის ნოვო-პავლოვსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ტ. მ. ზიბროვა,** ადლერის რაიონის სტახანოველი კოლმეურნე **ტ. ხ. ივკანი,** აბინსკაიას რაიონის 9 იანვრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **დ. ვ. ილიუტიკოვი,** ოტრადნაიას რაიონის სავჭიშე მეურნეობა „ურუპსკის" მწვრილრი ქალი **ლ. ი. კისლაია,** კანელოვსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ტ. ლ. კოსტენკო,** სევერსკაიას რაიონის პაპადიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ე. ს. ოტკოდჩი,** სლავიანსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი სემენიკის" მერგოლური **ვ. ლ. პანასენკო,** ბელორეჩინსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი პუტის" მეღორე **მ. ი. პილშუკოვი,** საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ი. სელეზნიოვი,** პრიმორსკო-ახტარსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ბოეცის" თავმჯდომარე **პ. ს. ტამაროვსკი,** შრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **პ. ფ. ტიულაევი,** კრასნოსელსკაიას მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **პ. ტ. შევკუნი,** ლადოგსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „როსსტელმაშის" მერგოლური **პ. ხ. შიკინა.**

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 31 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 48 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 57 კაცი.

მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** დაჯილდოებულია 61 კაცი.

(საკდესი).

ნოვოსიბირსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. ა. ანდრეევის გამოსვლა

ნოვოსიბირსკი, 18 მარტი (საკდესი). დაამთავრა მუშაობა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა საოლქო თათბირმა. პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის **ამხ.** პუგოვკინის მიერ 1939 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და 1940 წლის ამოცანების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 60 სტახანოველმა.

თათბირმა დიდი ყურადღებით მოისმინა მაღალი მოსავლის ოსტატთა გამოსვლები.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ა. ა. ანდრეევი.** ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავენი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ **ამხანაგ ანდრეევის** — დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ტრიბუნაზე გამოჩენას.

თათბირის მონაწილენი უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ **ამხანაგ ანდრეევის** სიტყვას. **ამხანაგმა ანდრეევმა** თავის სიტყვაში დასახა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების მოწინავეთა ტექნიკით, — ყოველივე ეს ცომბარის სოფლის მეურნეობას არაჩვეულებრივი აღმავლობის პერსპექტივებს უჭმნის.

შემდეგ **ამხანაგი ანდრეევი** დაწვრილებით შეჩერდა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების **ამოცანებზე** და **ამ** გადიდების წყაროებზე. ყოველივე ეს უზრუნველჰყოფს იმ ამოცანის შესრულებას, რომელიც **ამხანაგმა** სტალინმა სოფლის მეურნეობას დაუსახა.

ამხანაგ ანდრეევის დასკვნის სიტყვებს ჰფარავს ოვაცია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჰატივსაცემად, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის — საყვარელი სტალინის პატივსაცემად.

ოლქის მინდვრებისა და მეცხოველეობის 283 საუკეთესო სტახანოველის დაჯილდოების შესახებ საოლქო აღმასკომის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, თათბირმა მიიღო მიმართვა ნოვოსიბირსკისა და მეზობელი ოლქების ყველა კოლმეურნეობისადმი.

ორჯონიკიძის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებისა და განსაკუთრებით მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოდა ორჯონიკიძის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებისა და განსაკუთრებით მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოდა ორჯონიკიძის მხარის სოფლის მეურნეობის 206 მოწინავე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ზელენჩუკსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „სტალინის გზითის" მერგოლური **ბ. ბატჩაევა,** ნოვო-ალექსანდროვსკაიას რაიონის ვოლოდარსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ა. დეგიატკინი,** ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ხაბეზის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ფ. ი. კუშხოვა,** პეტროვსკოეს რაიონის კონსტანტინოვკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ი. პ. ლედოვსკი,** ეგორლიკის რაიონის კოლმეურნეობა „ჰუტ კრასნიხ პარტიზანის" მერგოლური **მ. ა. მალიშევა,** ყიზლარის ოლქის შელკოვსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „ტერეკის" მერგოლური **ა. კ. მელნიკოვა,** იპატოვოს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ქოხ-ლაბორატორიის გამგე **ა. გ. ნაუმენკო,** საკ. კ. პ. (ბ) ნოვო-ალექსანდროვსკაიას რაიკომის მდივანი **ვ. ე. პოლიაბინი,** მინერალნიე ვოდის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მწველელი ქალი **ე. ფ. რიხტერი,** ლეონკუმსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ბუდენოვეცის" თავმჯდომარე **ნ. დ. საუტკინი,** ალექსანდრიისკო - ობილენსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ა. გ. სილიჩევა,** საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი,** საკ. კ. პ. (ბ) ყარაჩაის საოლქო კომიტეტის მდივანი **ხ. უ. ტოკაევი,** ყიზლარის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ტ. ი. შელომცკი,** ყიზლარის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **პ. ხ. შჩერბაკოვა** და ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ზელენჩუკსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „მიროვოი ოქტიაბრის" მერგოლური **პ. პ. ივაოდკინა.**

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 32 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 48 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 51 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულია 59 კაცი.

(საკდესი).

17 სექტემბრის სახელობის კოლმეურნეობა

ბარანოვიჩი, (საკდესი). ნესვიჟის რაიონის სოფელ ლიპაში იმ მიწებზე, რომლებსაც წინად მემამულე ობუხოვიჩი ჰფლობდა, გლეხთა ინიციატივით მოეწყო 17 სექტემბრის სახელობის კოლმეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო არტელის ახლანდელ წევრთა დიდი ნაწილი ყოფილი მოჯამაგირეებია. კოლმეურნეობამ საერთო სარგებლობისათვის მიიღო 350 ჰექტარი ნოყიერი მიწა, 25 ცხენი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

სოფელ ლიპაში 150 მეურნეობაა. მათგან არტელში ერთბაშად შევიდა 58. ახლა კი თითქმის ყოველდღე გლეხებს გამგეობაში შეაქვთ განცხადებანი და ითხოვენ არტელის წევრებად მიგვიღეთო.

ამჟამად კოლმეურნეობაში მთავრდება სავაზაფხულო თესვისათვის მზადება. გაწმენდილია თესლი, მინდვრად გატანილია ნაკელი, სამჭედლოში სწარმოებს მანჭანების რემონტი. ბრიგადირმა ალექსანდრე ვერემეიჩიკმა თანამემამულეთა შორის მოაწყო სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა. დიდი მოთხოვნილებაა წიგნებზე 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე კოლმეურნეთა შესახებ.

საზღვარგარეთ

მიღება გალიფაქსში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ტალინი, 19 მარტი (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ესტონეთში ამხ. ნიკიტინმა მოაწყო მიღება, რომელსაც დაესწრნენ: ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ულოტსი, საგარეო საქმეთა მინისტრი პაიპი, ესტონეთის არმიის მთავარსარდალი ლაიდონერი, ესტონეთის მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები. მიღებამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და სამ საათზე მეტს გაგრძელდა.

მიესალმებიან საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). ავსტრალიის მაღაროელთა კავშირის თავმჯდომარემ ნელსონმა „დეილი ჰორკერის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციები ყოველგვარი იმპერიალისტური ხელყოფის წინააღმდეგ.

ავსტრალიის რკინიგზელთა კავშირის ძღვანმა ჩე[illegible]მა განაცხადა, საზავო ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირის სამხედრო და დიპლომატიური ძლიერება განამტკიცაო.

ავსტრალიის რკინის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა კავშირის მდივანმა ტორტონმა გაბაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ ცხადჰყო მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა და დაგვანახვა, რომ იგი არა ცდილობს დაორღვიოს ჰატარა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა.

○

სოფია, 19 მარტი (საკდესი). ბულგარეთის პრესა კვლავ ფართოდ აშუქებს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას. გაზეთი „ნაროდნა ბორბა" სწერს: „ჩრდილოეთში მშვიდობიანობა დამყარდა ყველა იმ ქვეყნის მშვიდობისა და მეგობრობის სასიკეთოდ, რომელთაც ომი არა სურთ და მშვიდობიანობას მიესალმებიან". გაზეთი „ბორბა" სწერს: „არ შეიძლება არ აღვიაროთ საბჭოთა რუსეთის დიდი ქეთილშობილება. სრული და საბოლოო გამარჯვების წინ რუსეთი ზავის შესახებ მოლაპარაკებაზე დათანხმდა. მას შესაძლებლობა ჰქონდა რამდენიმე დღის შემდეგ ეკარნახნა ყოველგვარი პირობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი არ დაადგა ჰატარა სახელმწიფოს მოსპობის გზას".

○

ნიუ-იორკი, 19 მარტი (საკდესი). კუბის პროგრესიული გაზეთი „ნოტისიას დე ო", რომელიც ჰავანაში (კუბა) გამოდის სწერს, რომ წითელმა არმიამ ფინეთში მოპოვებული თავისი გამარჯვებით იმპერიალისტთა გეგმები დაამსხვრია და უზრუნველჰყო ლენინგრადის უშიშროება. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებამ სკანდინავიის ქვეყნების ნეიტრალიტეტი განამტკიცა. ეს გამარჯვება,—სწერს გაზეთი, — არის აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვება ომის გამჩაღებლებზე.

ჩეკოსლოვაკიის საბჭოთა კავშირის ელჩის ვიზიტი პრეზიდენტ ბენეშთან

პრაღა, 19 მარტი (საკდესი). ჩეკოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა მიიღო სსრ კავშირის ელჩი ზორინი. ელჩის ვიზიტი პრეზიდენტთან ხანგრძლივი იყო.

ინგლისის მეფის ვიზიტი საფრანგეთში

პარიზი, 19 მარტი (საკდესი). ინგლისის მეფე ჯორჯ VI და დედოფალი ელიზაბეთი 20 მარტს ჩამოვლენ პარიზში. ისინი ორი დღე დარჩებიან საფრანგეთის დედაქალაქში.

გერმანია უარჰყოფს

ბერლინი, 18 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო უარჰყოფს რეიტერისა და ჰავასის სააგენტოების ცნობას სკაპა-ფლოუზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შედეგთა შესახებ. ამ ცნობებში აღნიშნული იყო, რომ გერმანელთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გერმანიის სააგენტო უარჰყოფს აგრეთვე ჰავასის სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ სოფელ ბრიჯოფ ვეიტში გერმანელთა ყუმბარების გასკდომის შედეგად მშვიდობიან მოსახლეთაგან მოკლულია 1 კაცი და დაჭრილია 5 კაცი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ გერმანიის ავიაციას ყუმბარები დაუშინა ორკნეის კუნძულებზე მდებარე აეროდრომებს და ამიტომ ჰავასის სააგენტოს ცნობაში ჩამოთვლილი მსხვერპლი მშვიდობიან მკვიდრებთა შორის, როგორც სჩანს, გამოწვეა ინგლისის საზენიტო არტილერიის ყუმბარების ნატეხებმა და არა გერმანიის ყუმბარებმა.

კომუნისტების დევნა საფრანგეთსა და ბელგიაში

პარიზი 18 მარტი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პარიზის გარეუბნებში ობერვილიესა და ლევალუაში პოლიციამ დააპატიმრა 27 კაცი; მათ შორის ხუთი ქალი. დაპატიმრებულთ კომუნისტური მოღვაწეობა ჰბრალდებათ.

○

ბრიუსელი, 18 მარტი (საკდესი). ფაზეთ „პეპლი" იუწყება, რომ დაპატიმრეს სამართლის დოქტორი გაზეთ „ვუა დიუ პეპლის" (ბელგიის კომუნისტური პარტიის ოფიციალური ორგანოსი, რომელიც ამჟამად აკრძალულია მთავრობის მიერ) ყოფილი რედაქტორი პიერ ფუაიე.

○

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). ექსჩერჩილ ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ ფრანგი კომუნისტი დეპუტატების საქმის გარჩევა სამხედრო ტრიბუნალში 20 მარტს დაიწყება. საქმე დახურულ დარბაზში გაირჩევა. როგორც ფიქრობენ პროცესი გაგრძელდება სულ ცოტა 4 დღეს.

ინდოეთის მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 19 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ჰამბობს განდის და კონგრესის მემარჯვენე ფრთის ახლანდელ ხელმძღვანელობას. ბოსი ბრალად სდებს ხელმძღვანელობას, რომ იგი სწორ გზას გაურბის, როცა მოითხოვს „ყალბი დამფუძნებელი კრების" მოწვევას.

ბოსი დასძენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა იმპერიალიზმთან კომპრომისის პოლიტიკა, ინდოეთის მემარცხენე წრეები იბრძოლებენ არა მარტო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ მისი ინდოელი მოკავშირეების წინააღმდეგაც.

რეაქციის გაძლიერება მუშების წინააღმდეგ საფრანგეთში

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). პარიზში ერთ მუშას ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს „ინტერნაციონალის" სიმღერისათვის. სააპელაციო სასამართლოში მას განუცხადეს, რომ „ინტერნაციონალი" არის „მეამბოხეთა ჰიმნი", და მისი შესრულება არმიისა და დროშისათვის შეურაცყოფის მიყენებას უდრის.

პარიზში სამსახურიდან დაითხოვეს 6 მასწავლებელი ქალი, რომელთაც კომპარტიის წევრობა ჰბრალდებოდათ.

იქვე დააპატიმრეს 27 ქალი და ვაჟი, რომელთაც ჰბრალდებათ კომკავშირული ორგანიზაციის აღდგენის ცდა.

რეიგერის სააგენტო საფრანგეთის მთავრობის კრიზისის შესახებ

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთის რადიომ გადასცა ცნობა, რომ საფრანგეთის კაბინეტის რეორგანიზაცია აუცილებელია.

უკანასკნელი ცნობები

დალადიეს კაბინეტის გადადგომა

პარიზი, 20 მარტი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ „დღეს დილით დალადიეს კაბინეტის ყველა მინისტრი (გარდა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ჟიულენისა, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება) გაემგზავრა პრეზიდენტთან ელისეს სასახლეში, რათა გადასცეს მას განცხადება კაბინეტის კოლექტიური გადადგომის შესახებ".

○

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ლებრენმა მიიღო დალადიეს მთავრობის გადადგომა და დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ.

დეგრენმა მიიღო ჟანენე და ერიო

ლონდონი, 20 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატაში ჩატარებულმა კენჭისყრის შედეგებმა გამოიწვიეს დალადიეს მთავრობის სამძიმო მდგომარეობა. ფიქრობენ, რომ ლებრენი დალადიეს მიახდომს ახალი მთავრობის შექ

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

ამხ. პ. ფიფინაძის სიტყვა

აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებების განხორციელებით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მთელს საქართველოსთან ერთად მტკიცდება და სულ უფრო და უფრო ჰყვავის მისი განუყოფელი ნაწილი — აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის საკავშირო-რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია (ტყვარჩელნახშირის, ეთეროვან-ზეთოვანი და ჩაის მრეწველობის გარდა) 1937 წელს შეადგენდა 54 მილიონ მანეთს, 1939 წელს კი (წინასწარი მონაცემების მიხედვით) 68 მილიონ მანეთს უდრიდა.

ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონმა — აფხაზეთის მძლავრმა სამრეწველო რაიონმა — 1939 წელს ვადამდე შეასრულა გეგმა და ქვეყანას მისცა 237 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. 1938 წლის ბოლოს ამუშავებულმა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა 1938 წელს გამომუშავა 92 მილიონი კილოვატ-საათი, გადაჭარბებით შეასრულა რა წლიური დავალება.

1939 წელს აფხაზეთის თითქმის ყველა საწარმომ მოგვცა პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა და ბევრები შეასრულა.

აფხაზეთის საქონელბრუნვამ 1939 წელს შეადგინა 337½ მილიონი მანეთი, ნაცვლად 271½ მილიონი მანეთისა 1937 წელს.

ჯერ არნახული ტემპებით განაგრძობს განვითარებას სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა.

მეფის დროს აფხაზეთში თვითეულ მოსახლეზე სახალხო განათლების ხაზით წელიწადში მოდიოდა 2 კაპიკი, მაშინ როდესაც ცხენოსანი პოლიციის შენახვა 2 მანეთი და 36 კაპიკი ჯდებოდა. ახლა აფხაზეთში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის თვითეულ მოსახლეზე წლიურად იხარჯება 200 მანეთზე მეტი, მათ შორის სახალხო განათლებაზე — 120 მანეთი.

ამჟამად აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში გვაქვს 500-მდე სხვადასხვა საფეხურის სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 65.000 კაცი. სოხუმში არსებობს **ლ. პ. ბერიას** სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც სწავლობს 120 სტუდენტი, აფხაზეთის სკოლებში მუშაობს 3.000-დე პედაგოგი.

აფხაზეთში სულ უფრო და უფრო ფართო გაჭანებას პოულობს სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და საკურორტო მშენებლობა. აფხაზეთი გადაიქცა საბჭოთა კავშირის შესანიშნავ ჯანმრთელობის კერად. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენი კურორტების კეთილმოწყობისათვის დაბანდებულია 13 მილიონ მანეთზე მეტი.

დიდია სოციალისტური კულტურის წარმატებანი, აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი ნაყოფიერად მუშაობენ თავისი ხალხის, თავისი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის. სოფლად და ქალაქად გვაქვს 80-ზე მეტი კინო-თეატრი, 200-ზე მეტი კლუბი, ჭოხ-სამკითხველო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

აფხაზეთში ფართოდ გაიშალა ახალი მშენებლობა. შენდება სოხუმჰესი, სოხუმის თბოელექტროცენტრალი, გაგრჰესი და მთელი რიგი მცირე ელექტროსადგურები. გაიშალა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა. ამ მშენებლობისათვის მიმდინარე წელს ასიგნებულია 50 მილიონი მანეთი. ეს გარემოება მშენებლებისაგან, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციისაგან სერიოზულ და შეუპოვარ მუშაობას მოითხოვს.

წარმატებები აქვს აფხაზეთის სოფლის მეურნეობასაც. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ 1940 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 89,4 პროცენტს, ნაცვლად 77,73 პროცენტისა 1938 წლის 1 იანვრისათვის. ციტრუსოვანთა ფართობი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 1969 ჰექტარიდან 4.423 ჰექტარამდე გაიზარდა. 1939 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 90 მილიონამდე ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, ნაცვლად 28 მილიონი ცალისა 1938 წელს.

მეცხოველეობა წარმოადგენს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ერთერთ მთავარ დარგს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებში მოეწყო 501 ახალი სასაქონლო მეცხოველეობის ფერმა. ამჟამად სულ გვაქვს 665 ფერმა. ამ ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობებში მკვეთრად გადიდდა პარუტყვის სულადობა. ამჟამად ჩვენ არა გვაქვს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელსაც არ ჰქონდეს მეცხოველეობის ფერმა.

შრომის სწორი ორგანიზაციისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარების შედეგად აფხაზეთის ბევრი კოლმეურნეობა დადგა მოწინავეთა რიგებში. მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენი კოლმეურნეობების წარმატებანი ფართოდ იყო ნაჩვენები 1939 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს მიღწევებს სოფლის მეურნეობის დარგში. გამოფენის მონაწილე მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მაღალი ჯილდოები მიიღეს.

ამ ჯილდოებმა ახალი აღმავლობა გამოიწვია აფხაზეთის კოლმეურნეობებში. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის. თუ 1939 წელს გამოფენაზე წარდგენილი იყო მხოლოდ 296 კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სპეციალისტი და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანი, ამჟამად გამოფენის მონაწილეებად უკვე დამტკიცებულია 1.000-ზე მეტი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანი.

საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან აფხაზეთის ნაყოფიერ მიწებზე კოლმეურნეების დასახლება, დაწყებული ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით, სულ უფროდაუფრო ვითარდება. უკვე დასახლებულია 800 კოლმეურნის ოჯახი. უახლოეს ხანში დასახლებული იქნება 350 ახალი ოჯახი. ახლად დასახლებული კოლმეურნეობისათვის აგებულია 630 სახლი. 1940 წელს აგებული იქნება 650 ასეთი სახლი.

საგრძნობი ნაკლი გვაქვს ჩაის, ციტრუსების, ევკალიპტების პლანტაციებისა და სხვა ძვირფასი ნარგავების მოვლის საქმეში. სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს მეთამბაქოობის საქმეში. აღგილი აქვს თამბაქოს დიდ დანაკარგებს. მუშაობის უკეთესი მოწყობა გვჭირდება ევკალიპტების დარგვისა და მათი მოვლის საქმეში (ასულ წელს დაიღუპა ევკალიპტების 40 პროცენტამდე), მარცვლეულთა ნათესების მოვლისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ყველა ამ უბანზე **არსებული** ნაკლოვანებანი უახლოეს ვადებში უნდა გამოსწორდეს.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია გაითვალისწინებს ყველა არსებულ ნაკლოვანებას, გააკეთებს საჭირო დასკვნებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებათა მთლიანად და თავის დროზე შესრულებას.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ჴშობლიურ **სტალინს! (ტაში).**

ამხ. გ. კიკნაძის სიტყვა

ამიერ-კავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის უფროსი

თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** სთქვა: „რკინიგზელთა კოლექტივმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ განამტკიცოს მუშაობაში მიღწეული წარმატებანი და მიაღწიოს ვაგონების მიმოქცევის სისწრაფის შემდგომ გადიდებას, მათი გაცდენის შემცირებას, მატარებელთა მოძრაობის გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, უავარიოდ და უწუნოდ მუშაობას“.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკებს შეუძლიათ გაბედულად განუცხადონ საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობას, რომ ისინი უდიდესი აღფრთოვანებით და ენერგიით იბრძოლენ ამ მითითების განხორციელებისათვის და შესძლეს გამარჯვების მოპოვება.

კადრების სწორი შერჩევა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა — ყოველივე ამან უზრუნველჰყო არსებითი წარმატებები ავარიებისა და მარცხების ლიკვიდაციაში.

როგორც 1938 წელს, ისე გასულ წელს ამიერ-კავკასიის რკინიგზამ ვადაზე ადრე შეასრულა ტვირთბრუნვის სახელმწიფო გეგმა. ამ ორი წლის განმავლობაში რკინიგზამ გეგმის ზეით გადაზიდა ასი ათას ცისტერნზე მეტი ნავთის პროდუქტები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთბრუნვის გეგმა, რაც წარმოადგენს მოძრავი შემადგენლობის უკეთ გამოყენებისა და ვაგონების მიმოქცევის სიჩქარის გადიდების შედეგს. გასული ორი წლის მანძილზე სატვირთო ვაგონის მიმოქცევის სიჩქარე გაიზარდა 21 საათით.

ეს ციფრები ასახავენ რკინიგზელთა მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებულ ბრძოლას მოძრავი შემადგენლობის საუკეთესოდ გამოყენებისა და მთელი მუშაობის აღმავლობის შესახებ ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მითითებათა შესრულებისთვის.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი კოლექტივის მუშაობას. 1939 წლის ნოემბერში რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობის საქმეში თვალსაჩინო წარმატებისა და სოციალისტური შრომის საუკეთესო ნიმუშებისათვის რკინიგზის 88 მოწინავე ადამიანი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ამიერ-კავკასიის რკინიგზას მიეკუთვნა საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელის, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელი **(ტაში).**

სოციალისტური ტრანსპორტის მოწინავე უბნად ამიერ-კავკასიის რკინიგზის გადაქცევისათვის ჩვენი კოლექტივის ბრძოლისა და გამარჯვებების მთელი ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით განადგურებულ და აღმოფხვრილ იქნა ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების, დივერსანტების, ჯაშუშების ბუდეები.

ამხ. **ლ. პ. ბერია** ხელმძღვანელობდა კადრების დაწინაურებას და განლაგებას, თავისი ძვირფასი მითითებებით გვეხმარებოდა დასახული ამოცანების უკეთესად შესრულებაში.

თვითანთი წარმატებები რკინიგზელებმა მოიპოვეს იმ ბოლშევიკური დახმარების მეოხებით, რომელსაც მათ ყოველდღიურად უწევდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

რკინიგზელთა კოლექტივის მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა ნაკლოვანება როდია. ამიერ-კავკასიის რკინიგზის მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს შრომის დისციპლინის ამაღლება. ამ მხრივ განსაკუთრებით სერიოზულად ჩამორჩება სამტრედიის განყოფილების კოლექტივი.

ჩვენი მუშაობის მეორე სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ტვირთების დანაკარგი. ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ეგრეთწოდებული კომერციული წუნის ლიკვიდაცია.

რკინიგზელთა კოლექტივის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. მაგრამ მიმდინარე წლის იანვარში და თებერვალში დატვირთვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 95 პროცენტით. რკინიგზა მუშაობს ბევრად უფრო მცირე სავაგონო პარკით, ვიდრე ივთვალისწინებენ გეგმის მაჩვენებლები. ეს არის ჩამორჩენის მიზეზი.

გზის მოწინავე ადამიანებმა ბევრი რამ გააკეთეს მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ამაში მათ სჭირდებათ გზის კლიენტების — ტვირთის გამგზავნთა და ტვირთის მიმღებთა დახმარება. მიუხედავად ამისა, ბევრი კლიენტი აფერხებს ვაგონების დატვირთვასა და გადმოტვირთვას. ასეთი კლიენტების რიცხვს ეკუთვნის ჭიათურის მარგანეცის ტრესტი. გაუსწორებელ კლიენტებს წარმოადგენენ აგრეთვე ტყიბულქვანახშირი, „ზაგოტზერნო“, ბათუმის ნავსადგური და სხვ.

ამიერ-კავკასიის რკინიგზელებმა ორგანიზებულად, ერთსულოვნად დასძლიეს სიძნელეები ზამთრის პირობებში მუშაობისა. გზის კოლექტივი, მოუწოდებელი თოვლისა და ძლიერი ყინვების დღეებში მოძრაობის ცალკეულ შეფერხებათა მიუხედავად, საერთოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა გამოიჩინეს ინიციატივა მძიმეწონიან შემადგენლობათა სწრაფ მოძრაობაში. მატარებლების სწრაფ მოძრაობაში ინიციატივა ეკუთვნით ელექტრომავლების ახალგაზრდა მუშაკებს ამხანაგებს ტაბატაძეს, ხიზანაშვილს, უჩუმბეგაშვილს და სხვ.

რკინიგზელთა კოლექტივი საბჭოთა პატრიოტიზმის შესანიშნავი მაგალითებით ცხადჰყოფს თავის უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი, სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი.**

ჩვენი გზისათვის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელის მიკუთვნებასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებაში სტალინურმა სახკომმა ამხანაგმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა** გამოსთქვა რწმენა, რომ ჩვენი კოლექტივი უზრუნველჰყოფს რკინიგზის ტრანსპორტის ზუსტი და მწყობრი მუშაობის შესახებ ამხანაგ **სტალინის** მითითების შესრულებას.

ამ დიდ ამოცანას რკინიგზელთა კოლექტივი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ღირსეულად გადასჭრის **(ტაში).**

ამხ. დ. ზ. ციკოლიძის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენებამ ნათლად გვიჩვენა ის დიდი მუშაობა, რაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა საანგარიშო პერიოდში. გაწეული მუშაობის შედეგად დიდი გამარჯვებებია მოპოვებული საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ყველა ეს მიღწევა მჭიდროდ დაკავშირებულია ქარაფეველი ხალხის სამამყო შვილის, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელთან, რომელმაც საქართველოს პარტორგანიზაციებში მტკიცედ დანერგა მუშაობის სტალინური სტილი, გამობრძმედა და აღზარდა საქართველოს ბოლშევიკები დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების სულისკვეთებით.

თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის და დიდი სტალინის ბრძნული მითითებების საფუძველზე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით სერიოზული წარმატებები მოიპოვა თავის მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაცია ორჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, პარტიაში მიღებულია 278 ამხანაგი წევრად და 465—კანდიდატად. გაიზარდა პირველადი პარტორგანიზაციების რიცხვიც, შეიქმნა 31 ახალი პარტორგანიზაცია, მათ შორის 10—საკოლმეურნეო.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა ბოლშევიზმის დაფიქლების საქმეს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად მოეწყო 378 ლექცია და კონსულტაცია, რაც 10.500 კაცმა მოისმინა.

„კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის ისტორიული დადგენილების საფუძველზე ჩვენ ტატარეთ მუშაობა საკოლმეურნეო მშენებლობაში წინათ დაშვებულ დამახინჯებათა გამოსასწორებლად. ამის შედეგად კოლმეურნეობებს გადაეცათ 3467 ჰექტარი მიწა. აღნიშნული დადგენილების განხორციელების საფუძველზე კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ჩვენი კოლმეურნეობანი. საანგარიშო პერიოდში კოლმეურნეობებში შევიდა 4.600 კომლი, ჩამოყალიბდა 7 ახალი კოლმეურნეობა.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურის—ვენახის გაშენების საქმეში. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილების შემდეგ გაშენებულია 1310 ჰექტარი ვენახი. მიღწეულია ნამყენი ვაზის გახარების 55 პროც., დარგული ვაზის შენარჩუნების 96-98 პროცენტი. აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით გვაქვს ვენახის მაღალი მოსავლიანობა. 1939 წელს სოფელ აკურას კოლმეურნეობა „მოწინავემ“ 30 ჰექტარი ფართობიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 96 ცენტნერი ყურძენი.

თვალსაჩინო მიღწევებია აგრეთვე მთაშეებული გერანის კულტურის განვითარების საქმეში. 1939 წელს 100 ჰექტარი ფართობიდან ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 18 ტონა მწვანე მასა, კერძოთ სოფელ სანიორეს კოლმეურნეობა „პარველმა მაისმა“ ჰექტარზე საშუალოდ აიღო 26 ტონა მწვანე მასა.

დიდი ყურადღება მიექცა მეცხოველეობის განვითარების საქმეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს 1939 წ. 8 ივლისის დადგენილების საფუძველზე ჩვენს რაიონში შეიქმნა 124 საკოლმეურნეო ფერმა, მათ შორის მსხვილფეხა საქონლის—34, ცხვრისა და თხის—86. ამჟამად 131 კოლმეურნეობასთან მოწყობილია 264 ფერმა, მხოლოდ 21 კოლმეურნეობას აქვს თითო ფერმა, დანარჩენ კოლმეურნეობებს კი აქვთ ორი და სამი ფერმა. ახალი ფერმების მოსაწყობად და ძველების შესავსებად შეძენილ იქნა 4150 სული პირუტყვი.

ვანხორციელებდით რა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითებას მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ჩვენ აბრეშუმის პარკის მიღების 1938 და 1939 წლებს გეგმები გადაჭარბებით შევასრულეთ, ფართოდ დავნერგეთ ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება. წელს ქისტაურელებმა იკისრეს ქვეყანას მისცენ 6 მოსავალი. ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს მათს ამ ძვირფას ინიციატივას.

ამასთანავე ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს. მაგალითად, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ჰარცლოვანი კულტურების მოსავლის თვალსაჩინოდ გადიდებას, დაბალია მეწველი მსხვილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობა, მეცხოველეობას ჯერ კიდევ ვერ შევუქმენით მტკიცე საკვები ბაზა, ჩამორჩენილია ქალაქ თელავის კეთილმოწყობა და სხვ.

თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით შესძლებს ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და ახალ წარმატებებს მოიპოვებს.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ამხანაგ **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს ჩვენს დიდ **სტალინს! (ტაში).**

გერმანიის პრესა მუსოლინისა და ჰიტლერის შეხვედრის შესახებ

ბერლინი, 19 მარტი (საკდესი). ბერლინის, პრესა ფართო კომენტარებს უკეთებს ჰიტლერის შეხვედრას მუსოლინისთან. მთელი გაზეთები ვრცელ სტატიებს უძღვნიან შეხვედრას. „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს, რომ „ბრენერში საუბრის დროს მიღებულ იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი“. ჰიტლერისა და მუსოლინის შეხვედრამ,—აღნიშნავს გაზეთი, — ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ გერმანიასა და იტალიას შორის კონტაქტი და მეგობრული ურთიერთობა არსებობს.

„ბერლინერ ბერზენციატუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰიტლერისა და მუსოლინის შეხვედრის შედეგი იქნება იტალია-გერმანიის მეგობრობის განმტკიცება. „ორივე ქვეყნის მეგობრობა უფროდაუფრო ძლიერი და მჭიდრო ხდება. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ ინტრიგების გზით შეიძლება გერმანიისა და იტალიის კავშირის გაწყვეტა. ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ გერმანია-იტალიის მეგობრობის ჩაშლას.

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა დანაშაულებრივი გეგმა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში, დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ყურადღება მიმართონ სამხრეთისაკენ, იტალიისაკენ. გერმანია-იტალიის შეთანხმება ქვანახშირის შესახებ იყო პირველი, ხოლო ბრენერში შეხვედრა—მეორე პასუხი ამ ცდებზე“.

„ნაციონალციატუნგი“, რომელიც ესენში გამოდის, სწერს: „გერმანია-იტალიის ურთიერთობა დაფუძნებულია სახელმწიფრთო ვალდებულებებზე, რომლებსაც დასავლეთ ევროპის პრესის ვერავითარი ცრუ კამპანია ვერ ჩაშლის. რაზედაც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი ჰიტლერისა და მუსოლინის საუბრის დროს, ამ შეხვედრას შედეგად მოჰყვება გერმანიისა და იტალიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცება“.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ სწერს: „დიდმა სახელმწიფოებმა, რომელთაც დადებული აქვთ ხელშეკრულება კავშირის შესახებ, გაიხედეს მათთვის საინტერესო მნიშვნელოვანი საკითხები“.

ინციდენტი იაპონიის პარლამენტში

ტოკიო, 19 მარტი (საკდესი). დღეს პარლამენტის ქვედა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ უარი სთქვა ეპასუხნა პარლამენტის დაჯგუფების ძიკიოკუ დოსიკაის წევრის—კიიოსის შეკითხვაზე იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც შეემთხვა გემ „ასამა-მარუს“. პალატის თავმჯდომარემ კოიამამ მიუთითა კიიოსის, რომ მას ნება ჰქონდა მიცემული მხოლოდ თავისი აზრი გამოეთქვა და არა შეკითხვა შეეტანა, და რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ვალდებული არ არის უპასუხოს ამ შეკითხვაზე. მაშინ სიაკაი ტაისიუტოს პარტიის წევრმა ოდამ მიირბინა კოიამასთან და მოითხოვა, რომ არიტას პასუხი გაეცა. პარლამენტის დარაჯები ცდილობდნენ პარლამენტიდან გაეყვანათ ოდა. სანამ ტაისიუტოს პარტიის წევრმა—დეპუტატებმა საშუალება არ მისცეს დარაჯებს გაეყვანათ ოდა პარლამენტიდან. კონფლიქტში ჩაერიენენ მინსეიტოს პარტიის წევრები, და დეპუტატთა შორის ასტყდა ჩხუბი, რაც 30 წუთს გაგრძელდა.

„ჯაპან ტაიმსმა“ ეს ცნობა შემდეგი სათაურით დაბეჭდა: „პარლამენტი ჯოჯოხეთად გადაიქცა“.

ინგლისის სავაჭრო ფლოტის დანაკლისი

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, გუშინ თემთა პალატაში გამართული კამათის დროს ლეიბორისტმა შინუელმა აღნიშნა, რომ სავაჭრო ნაოსნობის სამინისტროს მუშაობას „გარკვეულობა და წინდახედულობა“ არ ემჩნევა. შინუელმა აღნიშნა, როგორც შემაშფოთებელი ფაქტი, რომ ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ინგლისის სავაჭრო ფლოტის დანაკლისი 750 ათას ტონას აღემატება; ამას გარდა, მრავალი გემი დაზიანებულია. შინუელის აზრით, მთავრობის განკუთვნილი ინგლისის სავაჭრო ფლოტის დანაკლისის შესახებ დაუსაბუთებელ ხელსაყრელ შთაბეჭდილებას ახდენენ. ამ დანაკლისის შეჯამების დროს მხოლოდ დაღუპულ გემებს იღებენ მხედველობაში. არ ანგარიშობენ იმ დიდძალ გემებს, რომლებიც დაზიანდნენ როგორც მოწინააღმდეგის მოქმედების შედეგად, ისე სხვა მიზეზებით, და რომლებიც სარემონტოდ დგანან. ეს გემები, — სთქვა შინუელმა,—არ შეიძლება ჩაითვალოს მოქმედი სავაჭრო ფლოტის ტონაჟში. შინუელი მკაცრად აკრიტიკებდა სამინისტროს მხრივ სავაჭრო ფლოტის კონტროლის მეთოდებს და ამტკიცებდა, რომ სამინისტრო ძალიან ცუდად იყენებს სავაჭრო ფლოტის ტონაჟს, რის გამო ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას და სპეციალური სახის სავაჭრო გემების არასწორად გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო გემების მშენებლობის პროგრამა არა სრულდება, ინგლისის გემთმშენებელ და გემსარემონტო მრეწველობაში, ოფიციალური ცნობებით, 20 ათასამდე უმუშევარია. მანქანათმშენებელ მრეწველობაში, რომლის მუშაობა დაკავშირებულია გემთმშენებლობასთან, 200 ათასი უმუშევარია. შინუელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სავაჭრო ნაოსნობის სამინისტროს მიერ ნეიტრალური ქვეყნების გემმფლობელებთან დადებული შეთანხმებანი ითვალისწინებენ გემების ფრახტის გაცილებით უფრო მაღალ განაკვეთებს, ვიდრე ის განაკვეთებია, რომლებსაც ინგლისელ გემმფლობელებს აძლევენ.

ლიბერალმა გრეჰემ - უაიტმა ინგლისის სავაჭრო ფლოტის დიდი დანაკლისის გამო, წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ იქნას თვდაცვის საშუალებებით ყველა სავაჭრო გემი, მათი ტონაჟის მიუხედავად.

სავაჭრო ნაოსნობის მინისტრმა ჰელმურმა აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომლებსაც იღებს სამინისტრო კერძოდ სავაჭრო გემების შესაიარაღებლად. მან განაცხადა: მაღალი განაკვეთები, რაც ნეიტრალური ქვეყნების გემებს ეძლევათ ფრახტში, იმით აიხსნება, რომ მეომარ სახელმწიფოთა მხრით ამ გემებზე დიდი მოთხოვნილება არსის.

ომი ზღვაზე

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). თვეზე მეტია, რაც არაფერი იციან ინგლისის გემ „ტაიბერტონის“ შესახებ. ამ გემის წყალწყვა 5.225 ტონას უდრის. ფიქრობენ, რომ იგი ეკიპაჟიანად დაიღუპა.

ლონდონი, 19 მარტი (საკდესი). საფრანგეთის გემი „კაპიტანი ავგუსტინი“ 3137 ტონა წყალწყვისა, ნაღმს წაწყდა და ჩაიძირა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ეკიპაჟის ორი კაცი მოკლულია, დანარჩენი გადაარჩინეს.

სსრკ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სახელმწიფო ლატარეა

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა მე-9 ტირაჟის საცნობო ცხრილი

1940 წლის 11 და 12 მარტს ჩელიაბინსკში შესდგა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მე-9 ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშებულ იქნა 299.450 მოგება 48.871.300 მანეთის საერთო თანხით.

სერიებისა და ობლიგაციების ნომრებმა, რომლებიც ნაჩვენებია ცხრილში, მოაგვს სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 53 თანრიგში.

მომგებიანი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შედის მოგების თანხაში.

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მანეთობით
20001	1—50	150	28813	1—50	150
20141	1—50	150	28966	1—50	200
20476	1—50	150	30533	09*)	500
20988	14*)	1.000	30667	1—50	150
21019	41*)	500	30762	15*)	500
21095	49*)	500	30878	02*)	500
21137	1—50	150	31025	30*)	500
21141	1—50	150	31164	1—50	150
21270	10*)	500	31376	1—50	150
21852	1—50	150	31474	1—50	150
21892	43*)	500	31500	16*)	500
22235	1—50	150	31706	1—50	150
22304	1—50	150	31861	1—50	150
22384	17*)	500	32212	1—50	150
22663	14*)	1.000	32317	1—50	200
22709	1—50	150	32899	1—50	200
22847	1—50	200	33110	41*)	1.000
23089	1—50	200	33233	38*)	500
23207	15*)	500	33368	12*)	500
23230	1—50	200	33417	1—50	200
23365	1—50	150	33453	09*)	500
23556	1—50	150	33577	21*)	500
23861	1—50	150	33646	1—50	150
23884	42*)	500	33883	31*)	500
23922	1—50	200	33967	18*)	500
24068	14*)	500	34212	16*)	500
24394	12*)	500	34361	11*)	500
24413	30*)	3.000	34655	1—50	150
24513	1—50	150	34788	1—50	150
24741	1—50	150	34981	1—50	150
24819	1—50	200	35066	1—50	200
25054	1—50	150	35091	06*)	500
25283	1—50	200	36172	49*)	500
25662	14*)	500	36575	1—50	200
25702	36*)	500	36753	02*)	500
25767	45*)	1.000	36765	28*)	500
26039	49*)	500	36817	14*)	500
26329	32*)	500	37068	37*)	500
26343	1—50	150	37083	14*)	500
26425	07*)	500	37439	44*)	500
26787	49*)	500	37605	36*)	500